ტრენინგი პოლიციელებისთვის არჩევნების უსაფრთხოების საკითხებზე

2021 წლის 2 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების თავისუფალ და მშვიდ გარემოში ჩატარების ხელშეწყობის მიზნით საარჩევნო ადმინისტრაციასა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის ეფექტიანი კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად, სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის (სწავლების ცენტრი) და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის (შსს აკადემია) თანამშრომლობით, 17-18 სექტემბერს, პოლიციელთა გადამზადების პროგრამა განხორციელდა.

საინფორმაციო-სასწავლო კურსი „არჩევნები და უსაფრთხოება“ ონლაინ ფორმატში ჩატარდა, რომლის ფარგლებშიც სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელ პირებთან ერთად განიხილეს საკანონმდებლო სიახლეები და შემდეგი ძირითადი საკითხები:

- უსაფრთხო საარჩევნო გარემოს მნიშვნელობა დემოკრატიული არჩევნების ჩატარების უზრუნველსაყოფად;
- არჩევნებში ჩართული მხარეები და მათი როლი არჩევნების უსაფრთხოების პროცესში (უფლებრივი მდგომარეობა და მოქმედების ფარგლები საარჩევნო პროცესში);
- საარჩევნო უბანზე კენჭისყრის პროცესის მიმდინარეობისას უსაფრთხოების მიმართულებით რისკების იდენტიფიცირება;
- საარჩევნო უბანზე კენჭისყრის პროცესის მიმდინარეობისას უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკანონმდებლო მექანიზმები (პრევენცია და რეაგირება);
- პანდემიის პირობებში არჩევნების უსაფრთხო გარემოში ჩატარებასთან დაკავშირებული რეგულაციები.

პოლიციელები ასევე გაეცნენ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებას და აღნიშნულ ბრძანებაზე თანდართულ ინსტრუქციებს, რომელთა თანახმადაც, საქართველოს რეგიონებში, პოლიციის დეპარტამენტების სამოქმედო ტერიტორიებზე იქმნება სამართალდარღვევების პრევენციისა და მათზე რეაგირებისთვის პასუხისმგებელი ჯგუფები.

საინფორმაციო-სასწავლო პროგრამაში მონაწილეობა შსს სამინისტროს 879 თანამშრომელმა მიიღო. სწავლების ცენტრსა და შსს აკადემიას შორის პარტნიორობა 2018 წლის 27 სექტემბერს გაფორმებულ მემორანდუმს ეფუძნება და უსაფრთხო, მშვიდობიან გარემოში არჩევნების ჩატარების ხელშეწყობის მიზანს ემსახურება.

დამატებითი ინფორმაცია:

http://electionreforms.ge/geo/list/show/3197-tseskom-da-stsavlebis-tsentrma-saqartvelos-shinagan-saqmeta-saministros-akademiastan-samushao-shekhvedra-gamarta-

http://electionreforms.ge/geo/list/show/3215-politsielebs-archevnebis-usafrtkhoebis-sakitkhebze-treningi-chautardat

https://www.youtube.com/watch?v=H5LguIZDSuI